ზურაბ კიკნაძე

ვინ არის ზღაპრის გმირი?

ამ ორიოდე წლის წინათ ზაზა კვერცხიშვილმა ორი მეტად საყურადღებო ესე (ნარკვევი) გამოაქვეყნა. ისინი ზღაპრის პრობლემატიკას ეძღვნება. პირველი წერილი „ლიტერატურული ძიებანის“ 2007 წლის XXVIII ნომერში დაიბეჭდა სათაურით „ზღაპრის მთავარ გმირთა (ა)მორალური სახე: უფლისწულისა და მზეთუნახავის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“; მეორე „ზღაპრის გმირი – 'უთვისებო კაცი'“ ჟურნალ „კადმოსის“ 2009 წლის ნომერში გამოქვეყნდა.

I. განვიხილოთ პირველი ნარკვევი. ავტორის თვალსაზრისი ასეთია: ზღაპრის გმირი სრულებითაც არ არის კეთილშობილი არსება, როგორადაც მიაჩნიათ; იგი შეიძლება სიკეთის ჩამდენიც იყოს და სიბოროტსაც; მისი ქცევა ხან მორალურია, ხან ამორალური; ეს იმის გამოა, რომ მას თვისებები არ გააჩნია; ზღაპრის განმავლობაში იგი მოტივაციის გარეშე იცვლება... ბრედბერის მარსიანელი ბიჭის მსგავსად ხან ასეთია, ხან ისეთი; უაღრესად ცვალებადი არსებაა, უპასუხისმგებლო და უპრინციპო. ამოსავალი იდეა, დებულება, რომ ზღაპრის გმირს ხასიათი არა აქვს, რომ ის არ განასახიერებს ადამიანთა რომელიმე ტიპს, მოკლებულია ინდივიდუალურ თვისებებს, პიროვნულ ნიშნებს, ანუ არ არის პიროვნება, სავსებით გასაზიარებელია, გაზიარებულია კიდეც ზღაპართმცოდნეობაში, უფრო მეტიც: სადაო არც არასოდეს ყოფილა, რომ ამ თემას საგანგებო შრომები მიძღვნოდა. მიუხედავად ამისა, ღირდა ამ ვითარების გაცნობიერება და დაფიქსირება, რამდენადაც ჩვენი ავტორისთვის იგი სხვა, როგორც თავად მიიჩნევს, ვითარებისთვის არის ამოსავალი. რადგან ზღაპრის გმირს არ გააჩნია პიროვნული თვისებები, იგი tabula rasa-ს მსგავსი არსებაა, რომელიც ივსება იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციას დააკისრებს მას ესა თუ ის ზღაპარი. ფუნქცია რომ განმსაზღვრელია ზღაპარში, ეს გარემოება ზღაპართმცოდნეობის ანბანური შეშმარიტებაა და, ამდენად ჩვენს ავტორს ამაში ვერავინ შეედავება. სადაო მხოლოდ ის არის, რომ იგი ყურადღებას ზღაპრის გმირის მხოლოდ ამორალურ ქცევებზე ამახვილებს, თითქოს ეს მისი ფუნქციიდან გამომდინარეობდეს. მოვუსმინოთ:

„ზღაპრის გმირის საქციელი ძალიან ხშირად არის საეჭვო, ხშირად – მიუღებელი, ხოლო ზოგჯერ – საზიზღარი და ამაზრზენი. ასე რომ, საერთო შთაბეჭდილების შედეგად გაჩენილი ხიბლი კონკრეტიკასთან შეჯახებისას უკვალოდ ქრება“ („ძიებანი“, გვ. 182).

ავტორი უმიკაშვილის კრებულში ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილ „პირველივე ხუთ“ ზღაპარზე დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ „ზღაპრის მთავარი პერსონაჟი – უფლისწული – სავსებით შესაძლებელია იყოს: 1) ლაჩარი... 2) მოღალატე... 3) სადისტი... 4) კახპა... 5) კანიბალი, 6) სექსუალური მოძალადე... 7) ნეკროფილი“ („ძიებანი“, გვ, 183-193).

მის მიერ ორიოდე ზღაპრიდან ამოკრეფილი არათუ ეს შვიდი მანკიერება, არათუ მთელი ეს თაიგული, არამედ ერთი მათგანიც კი, საკმარისია იმისთვის, რომ ამორალურად გახადოს ზღაპარი და, საერთოდ, ჯადოსნური ზღაპრის, როგორც ჟანრის, ღირებულება ეჭვის ქვეშ დააყენოს. წარმოდგენა ზღაპრის მთავარი გმირის ეთოსზე თავდაყირა დგება. მაგრამ ზღაპარში, სადაც ჩადენილ ბოროტებას, როგორც წესი, ნაცვალგება მოსდევს, მორალს ვერ გამოვრიცხავთ. ზღაპარში ვხედავთ, რომ პერსონაჟები (გარდა მთავარი გმირისა) ისჯებიან, საბოლოო განკითხვის მსხვერპლნი ხდებიან. ეს საკმაოდ თვალსაჩინოა ზღაპარში. ძმების მიერ ხაროში ჩაგდებული მთავარი გმირი (უფლისწული თუ გლეხის ბიჭი) ბრუნდება სახლში და ცრუქორწილის ჩაშლით სამართლიანობას აღადგენს. ამგვარი დასასრული იმაზე მეტყველებს, რომ ზღაპარს გაცნობიერებული აქვს, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება და ამ დიხოტომიის საფუძველზე განარჩევს პერსონაჟებს.

სანამ განვიხილავდეთ ამ მანკიერებებს, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩემი და, ალბათ საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისი ზღაპრის გმირის კეთილშობილებაზე (შეჯამებულად რომ ვთქვათ) ეხება *მხოლოდ* და *მხოლოდ* ზღაპრის მთავარ გმირს, რომელსაც აკისრია ზღაპრის ამოცანა, და არა *მავნეს*, რომელიც ვნებს მას, ან *ცრუგმირს*, რომელიც მიითვისებს არა მხოლოდ მის მონაპოვარს, არამედ მის პიროვნებასაც. ამიტომაც ზოგადად ზღაპრის პერსონაჟისადმი წაყენებული ბრალდებები მას ვერ შეეხება.

ბოროტებანი ხდება ზღაპრებში (სხვაგვარად არც შეიძლება იყოს), მაგრამ უნდა ვიკითხოთ, თუ რა სამყაროა ის სამყარო, *სადაც* ხდება ეს ბოროტებანი და *ვინ* არიან მათი მატარებელნი და აღმსრულებელნი. ამასთანავე, გამოვიკვლიოთ ისიც, არის თუ არა ზ. კვერცხიშვილის მიერ მანკიერებად მიჩნეული საქციელები ნამდვილად „ამაზრზენი“ მანკიერებანი.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ლაჩრობა. ვერ ვიტყვით, რომ ეს „ამაზრზენი“ რამ იყოს, თუმცა სანაქებო თვისება ნამდვილად არ არის. მაგრამ იმ შიშს, რასაც მისი შემწისა და დევის გოლიათური შერკინების შემყურე ზღაპრის *მთავარი გმირი* განიცდის, რამდენად სამართლიანი იქნება, ლაჩრობა ვუწოდოთ?... როცა *მთავარ გმირს შემწე* (ზღაპრის ერთ-ერთი ფუნქციონერი) ჰყავს, რომელიც მის ნაცვლად ახორციელებს ძნელ, ადამიანის ძალებთან შეუწონად დავალებას (ძნელ ამოცანას), ამ დროს იგი სრულიად პასიურია და ზღაპარი არ მოითხოვს მისგან გმირობას ზეადამიანური ძალისხმევით. ის შიში, რომელსაც განიცდის შეფარებულში მყოფი მთავარი გმირი, უფრო ძნელი ამოცანის და *შემწის* ზედამიანურ ძალის პროექციაა, ვიდრე *მთავარი გმირის* რაიმე თვისება. ზღაპრის ლოგიკით, როცა ძნელი ამოცანის წინაშე მდგარ მთავარ გმირს აღმოაჩნდება *შემწე*, ის არათუ მხდალი და ლაჩარი, არამედ შეიძლება არარაობა იყოს – ზღაპარს ეს სრულიადაც არ ეხამუშება.

კახპა (დედის მუხანათობა შვილის მიმართ). ამ ეპიზოდს უამრავი ტიპის ზღაპრებს შორის სიუჟეტების საძიებელში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტიპის, №315-ის ქვეშ გაერთიანებულ ზღაპრებში ვხვდებით. საძიებელში ამ ჯგუფის ზღაპრების ნარატივი რეზიუმეს სახით ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „მუხანათი და (დედა) შეთქმულია საყვარელთან (ყაჩაღთან, ჯადოქართან, გველეშაპთან...) ყმაწვილის (ძმის, შვილის) დასაღუპავად თავს მოიავადმყოფებს და გზავნის მას ძნელად მოსაპოვებელი, ვითომდა განმკურნებელი საგნებისთვის; გმირი, მოიპოვებს რა შემწეებს, რამდენიმეგზის ასრულებს დავალებას და, ბოლოს, მათი შემწეობით უსწორდება მისთვის ავისმსურველს“ (იხ. ხელმისაწვდომი გამოცემა Указатель сюжетов грузинской народной сказки – Систематический Указатель по системе Ааарне-Томпсона), составитель – д.ф.н. проф. Курдованидзе Т. Д., Тб., 2000). გვ. 32; ან Сравнительный указатель сюжетов. Восточнославянская сказка, Л-д, 1979, გვ. 115-116)).

ამას ჩამდენი დედა ან და (№318-ში: მოღალატე ცოლი) არ არის ზღაპრის *მთავარი გმირი*. ამ უკანასკნელის მონაწილეობა ეპიზოდში მის კეთილშობილებასა და ღირსებაზე მეტყველებს: იგი დედის ერთგულია და უსიტყვოდ ასრულებს მის მუხანათურ თხოვნებს. უსამართლობა იქნება იმის თქმა და დაჟინება, რომ ეს თვისება – მორჩილება მას არ ეკუთვნის და მხოლოდ და მხოლოდ მისი, როგორც თვისებებისგან დაცლილი არსების, ფუნქციაა. რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ თვისებებზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ რასაც ეს გმირი სჩადის, ეს საქციელი, მისი პიროვნული ნებიდან გამომდინარეობს.

როცა ზღაპარს სურს უკიდურესი საფრთხის წინაშე დააყენოს *მთავარი გმირი*, ზღაპარი ნებისმიერ, ყოფითი თვალსაზისით მიუღებელ და, თუნდაც, „ამაზრზენ“ საშუალებას მიმართავს. აკი ზ. კვერცხიშვილი თავად აცნობიერებს ამ მომენტს (და ამას მის გამჭრიახობას მივაწერდი): „ზღაპრისთვის, როგორც ჟანრისთვის, დამახასიათებელია გასაჭირის, საფრთხის უკიდურესი, ექსტრემალური ხასიათის ხაზგასმა. ეს ამოცანა ზღაპრისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა ასპექტებს, რასაც ლიტერატურა უდიდეს მნიშვნელობას მიანიჭებდა, ყურადღება თითქმის არ ექცევა“ („კადმოსი“ 2009, გვ. 286). ამ ფრაზით თითქოს ყველაფერი თქმულია და, ამდენად, არ ღირდა ზღაპარში ყოფითი თვალთახედვით ამაზრზენ მანკიერებათა თუ ბოროტებათა ქექვა[1]. რადგან ზღაპარი ყოველდღიური ყოფის ამსახველი არ არის, რომ მისი კრიტერიუმებით განვსჯიდეთ. განაჩენის გამოტანისას ავტორი ამ გარემოებას, რომელიც მან სანიმუშოდ ჩამოაყალიბა, არ ითვალისწინებს.

სადიზმი. ზღაპარში „დედის საყვარელი და ამისი შვილი“ უფლისწული უცნაურად იქცევა: კლავს იმ არწივს, რომლის ბარტყები იხსნა ფასკუნჯისგან და თავის შემწეებად გახადა, ნაცვლად იმისა, რომ მათი მჭამელი ფასკუნჯი მოეკლა. ზ. კვერცხიშვილი აქ უფლისწულის საქციელს სადიზმად ნათლავს. მაგრამ ეს სადიზმი გაქარწყლდება, თუ ამ ფართოდ გავრცელებული მოტივის (ან მითოლოგემის: ერთი არსება მეორეს შვილებს უჭამს, მოდის გმირი, კლავს მოძალადეს და იხსნის შვილებს) არქეტიპს მოვიხმობთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ზღაპარში მთხრობელის მიერ რაღაც შეცდომაა ჩადენილი. ეს დეფექტი ამ კონკრეტული ჩანაწერის თვისებაა და არა ამ ტიპის ზღაპრისა. მთავარი გმირი უნდა გავათავისუფლოთ ამ აბსურდული ქცევისგან. ყოველ შემთხვევაში სადიზმის ცნება აქ არ არის მოსატანი. ესეც არ იყოს, ამ საქციელის მიხედვით გმირის განსჯა მორალის თვალსაზრისით და მერე მისი განზოგადება საერთოდ ზღაპრის გმირზე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია[2].

„სადიზმის“ მეორე შემთხვევა. ზღაპარში „მონადირის შვილი“ (უმიკ. III, გვ. 34) მზეთუნახავი მისი ხელის მთხოვნელებს წინადადებას აძლევს სამჯერ დაემალოს მას და, თუ იპოვის, თავს გააგდებინებს,

1. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ამაზრზენი ეპიზოდები წვეთია ჯადოსნურ ზღაპართა ზღვაში, რომელიც ოთხასზე მეტ სიუჟეტს მოიცავს (აარნე-ტომპსონის საძიებლის მიხედვით: №№300-745).
2. ზღაპრის დეფექტის გამოყენება არგუმენტად ისეთივე სავალალო შეცდომაა, როგორც ადამიანზე დაბალი არსებიდან ჰომო საპიენსის წარმოშობის არგუმენტად კონკრეტული ადამიანის დეფექტური (დეგრადირებული) ყბის მოტანა.

თუ ვერ იპოვის, მისთხოვდება. „სამი სახლი სულ კაცის თავებით მაქვს აშენებული, ერთი თავი მაკლიაო“. ნაცვლად იმისა, რომ რაიმე კვალიფიკაცია მისცეს ზ. კვერცხიშვილმა ამ ეპიზოდს ჯადოსნური ზღაპრის კონტექსტში, ასეთ კითხვებს სვამს:

> „რა ასაკიდან დაიწყო მზეთუნახავმა საქმროების ხოცვა? რა ზომის, როგორი სიგრძე სიგანის და სიმაღლის იყო მის მიერ ადამიანთა თავებით ნაგები სახლები (მეტისმეტად პატარა ქოხებს, ალბათ, არ იკადრებდა?) ერთპირად იყო დაწყობილი კანიბალური „აგურები“ თუ ორად ან მეტად (ცალფა კედელი მყარი ვერ იქნებოდა)? დაახლოებით რამდენი თავი იქნებოდა სამსავე სახლში? როგორი არომატი და აურა უნდა ვივარაუდოთ მათში? რაში სჭირდებოდა ეს სახლები? როგორი ინტერვალით ხოცავდა საქმროებს?.. რამდენი ათწლეული დასჭირდებოდა სამი სახლისთვის აუცილებელი რაოდენობის „აგურების“ მოგროვებას? და ბოლიოს, როგორღა იყო ამდენი ადამიანის დამხოცავი ქალი ვისმესთვის სასურველი? რატომ მოედინებოდა მისკენ უწყვეტ ნაკადად საკუთარი ფეხით „საშენი მასალა“? („ძიებანი“, გვ. 187).

(**შენიშვნა.** ასეთი კითხვები ამავე წარმატებით საერთოდ ზღაპრისა და მისი ყოველი ეპიზოდის (სვლის) მიმართ შეგვიძლია დავსვათ. მაგალითად, ზ. კვერცხიშვილს ლეგიტიმურად მიაჩნია ეს კითხვები: რატომ არ ისმის თითმოჭრილისგან ჩივილი, ან რატომ არ არის ნახსენები, თუ „რამდენ ხანს ატარა ქალმა ბარად და ნიჩბად ქცეული ხელები“. თუ ორღობის თვალთახედვით შევხედავთ ზღაპარს, მისი კითხვის პროცესში ვერ აუვალთ კითხვებს, იმდენ საოცრებას და აბსურდს წავაწყდებით. განა ნაკლებ უზნეო და აბსურდულია, მაგალითად, საქციელი უმცროსი ძმისა, რომელიც თავის დებს ცოლად გააყოლებს ბუს, მგელს და შევარდენს? მაგრამ ამ არჩევანით უმცროსი შვილი ხომ, ერთი მხრივ, მამის ანდერძს ასრულებს, მეორე მხრივ, ამ უცნაური სიძეების სახით თავისთვის და ზღაპრისთვის აუცილებელ *შემწეებს* იძენს).

ზემოთ ტირადის სახით დასმულ კითხვებს (იქნებ ეს, უბრალოდ, ხუმრობაა და მე ამაოდ დავშვრები) მაშინ ექნება აზრი, თუ ეს ამბავი (მოჭრილი თავებით სახლების შენება) სადმე რეალურად მოხდა, ჩვენს სოფელში თუ არა, მეზობელ სოფელში მაინც; ან სადღაც მომხდარა, სადამდეც თვალი არ მიგვიწვდება და ვინმე გვიამბობს, ასე და ასე მოხდაო, ჩემი თვალით ვნახეო და სხვა ამდაგვარი. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ზღაპრის სივრცე დედამიწის ზურგზე არსად არ არსებობს, ის ატოპიურია. ყველაფერი, რაც ზღაპარში ხდება იმგვარი განზომილების არის, რომ კიდეც ხდება და არც ხდება, ანუ იყო და არც იყო. ყველაფერი ზღაპარში *ირრეალურია,* გარდა ერთისა – ზღაპრის

მთავარი გმირისა და მისი საბოლოო მიღწევისა, რისთვისაც ეს ყველა ეპატაჟური აბსურდი ხდება. აბსურდი (თავებით სახლების შენება ან სხვაგან სხვა რამ ასევე სასტიკი და აბსურდული ქმედება), ზ. კვერცხიშვილის სიტყვებითვე ვიტყვი, მოწოდებულია იმისათვის, რომ გასაჭირის, საფრთხის უკიდურეს, ექსტრემალურ ხასიათს გაუსვას ხაზი. ეს ეპიზოდი ამბობს, რომ ზღაპარში საცოლის მოპოვება, განსხვავებით ჩვენი ორლობეებისა და ქალაქის ქუჩაბანდებისა, ადვილი საქმე არ არის, საპასუხისმგებლოა, უკიდურეს რისკთან არის დაკავშირებული. ასეა ყველა ძველ ეპოსში მთელ დედამიწის ზურგზე. ყველა ხალხის ეპოსი გვეუბნება, რომ საცოლის მაძიებელი ვერ ასცდება მძიმე განსაცდელებს, მაგრამ ის ძლევს მათ და უვნებელი გამოდის, აღწევს მიზანს. გადასვლის რიტუალის საზრისიც ხომ ეს არის: სიკვდილის ზღვარამდე მიიყვანოს ადამიანის არსებობა და უვნებლად გადაალახვინოს ეს ზღვარი.

მზეთუნახავის საქციელი სხვა არაფერია, თუ არა უფლისწულის მიერ მისი ძნელად მოპოვების ნიშანი, მისი დამცველი თანდაყოლილი იარაღი[3]. ამდენად, ამ ქმედებას სუპერაქტიურ მზეთუნახავის სისასტიკესთან ნაკლები კავშირი აქვს.

ღალატი. სავსებით სწორია ზ. კვერცხიშვილი, როდესაც ის ჯადოსნური ზღაპრის „არსობრივ გულისგულად“ უფლისწულის მიერ მზეთუნახავის მოპოვებას და მასთან ქორწინებას მიჩნევს („ძიებანი“, გვ. 185); იმაშიც მართალია, რომ „ამ ქალისამი ერთგულება აუცილებლად უნდა იყოს მთავარი გმირის პიროვნული თვისება – მან შეიძლება მრავალგვარი ქვეკაცური სულმოკლეობა გამოამჟღავნოს ან თვით სულმდაბლობაც კი ჩაიდინოს, ოღონდ, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს ქალი, რადგან ამ ქალის დათმობა საკუთარი არსებობის ძირითად (უფრო მეტიც, ერთადერთ) არსზე და მიზანზე უარის თქმა იქნებოდა“ (იქვე). შესანიშნავი აზრია, ოღონდ, რატომ მოელის ავტორი უფლისწულისგან „პიროვნული თვისების“ ქონას, რაც მისგან უარყოფილია? „ქვეკაცურობის“ ანუ ღალატის ნიმუშად მას ზღაპრიდან „ხმელი ქურანი“ მოჰყავს ეპიზოდი (უმიკ. III, გვ. 34), სადაც *შემწე* თავისი შემწეობით მოპოვებული მზეთუნახავის ორად გაყოფას მოითხოვს უფლისწულისგან. ყოფითი თვალთახედვით და განსჯით ამ საქციელს ღალატის ცნებაში ვერ ჩავტევთ. ვეთანხმები ჩვენს ავტორს – არნახული სისასტიკეა. მაგრამ, ვნახოთ, რა ხდება. უფლისწულის პასუხი „ამ ქალს ნუ გავყოფთ, სხვა სულ შენი იყოსო“, სავსებით დამაკმაყოფილებელია ზღაპრის სტილისთვის (ჟან-

3. მითოსში დრაკონი და განძი (მზეთუნახავი), რომელსაც იგი იცავს, ერთმანეთთან არიან გაიგივებული.

რისთვის) უფლისწულის ერთგულების გადმოსაცემად. მაგრამ მეორე მხრივ, *შემწისადმი* ერთგულების აუცილებელი მოტივიც არსებობს, რასაც გამოხატავს კიდეც *მთავარი გმირი.* ეს მისი არჩევანია, რომელიც მოგვაგონებს გზაჯვარედინზე მდგარი უფლისწულის არჩევანს: ის სიკვდილის გზას ირჩევს, რადგან *საიდანღაც* იცის, რომ ამ გზის ბოლოს არის ხსნა. უფლისწულის ნებით და *შემწის* ხელით შუაზე გაიპო ქალი და იქიდან ბოროტები მომტანი არწივები ამოვიდნენ. „მე, ძმაო, რათ მინდოდა ქალი. გაიწმინდა, თორემ შენს სახელმწიფოში დაიბადებოდნენ ეს არწივები და შესჭამდნენ შენს სახელმწიფოსო." ჩვენს წინაშეა ექსორციზმის (ბოროტი სულების გამოდევნის)[4], შეიძლება ითქვას, ჰიპერტროფულად გაშარჟებული სახე[5], რომელიც შოკისმომგვრელი მხოლოდ სოფლის ორღობის თვალთახედვით შეიძლება იყოს. უფლისწულის გასამტყუნებლად, ჩვენი ავტორი დასძენს: „მხოლოდ არწივების დახოცვის შემდეგ შეიტყო ხმელი ქურანის (*შემწის*, ზ. კიკ.) განზრახვაო." აქ უნდა მოვიხმოთ მთავარი გმირის თვისებათაგან ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც *მიმხვდურობას* დავარქმევდი. რწმენასთან ერთად ეს თანდაყოლილი თუ ქვეცნობიერი უნარი მიმხვდურობისა ზღაპრის განმსაზღვრელია. მართალია, ზღაპრის გმირმა არ იცის საღი აზრის თვალთახედვით უაზრო ან დამღუპველი ქმედების სასიკეთო შედეგი (როგორც მაგალითად, იმ გზით წასვლა, რომელიც ცოცხლად უკანმობრუნებას არ ჰპირდება, მაგრამ სწორედ ეს ერთადერთი გზაა ჭეშმარიტი), მაგრამ ეს უწყის ზღაპარმა და, ხამს, რომ სწორედ ზღაპრის მთლიან კონტექსტში განვიხილოთ ეს ქმედება, რომელიც ყოველთვის უტყუარია და შინაგანი, გაუცნობიერებელი რწმენით და მინდობით არის ჩადენილი. არ ვიცი, როგორ უნდა გამოითქვას გმირის ეს ქვეშეცნეული ცოდნა, მაგრამ ზღაპარმა *იცის* და ამ ცოდნას გმირი ზღაპრის მეშვეობით არის ზიარებული. როცა ვლ. პროპი ამბობს, რომ ზღაპრის გმირს რაღაცნაირად მოცემული აქვს, კერძოდ, სხვა სამყაროს (иной мир) ცოდნა თუ წინათგრძნობა, იმა-

4. იხ. ტიპოლოგიურად იგივეობრივი ეპიზოდი ტობითის წიგნიდან (თ. 3-4)..
5. ეს უცნაური სახე ხალხურ ვეფხისტყაოსანშია გამოყენებული: ქაჯეთის ტყვეობაში ნამყოფი ლერწამ-დარეჯანის პატიოსნების გამოცდის მიზნით, „ავთანდილმა ლერწამ-დარეჯანი პირდაპირ დააყენა, შუაზე თანასწორად უნდა გაგჭრაო. დაუქნია ხმალი, ლერწამ-დარეჯანს შიშით მუცელი წაუხდა და ქაჯები დაჰყარა. ქაჯებთან ყოფნის დროს დაორსულებულიყო" (მ. ჩიქოვანი. ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 168; იხ. აგრ. გვ. 346). ზღაპრის კონტექსტში, სადაც ყველაფერი ბედნიერად მთავრდება, ამდაგვარი ეპიზოდები არც ამორალურად და არ სისასტიკედ აღიქმება.

საც დასძენს, რომ კითხვის დასმა ამ ცოდნის წარმომავლობის შესახებ უაზრობაა, რომ „ეს ზოგადზღაპრული ირაციონალური პოეტიკის საკითხია“ (Русская сказка, 1984, 220).

კანიბალიზმი. როგორ უნდა მოუბრუნდეს კალამი ადამიანს, რომ კანიბალიზმი გაამართლოს? ზ. კვერცხიშვილი სვამს კითხვას: „კანიბალიზმის ეს არაორაზროვანი აჩრდილი ახსნას მოითხოვს“ (კადმოსი 2009, გვ. 285)? კითხვას სვამს, მაგრამ ახსნას არ იძლევა. მხოლოდ ამხილებს და კიცხავს. მე, ზღაპრის აპოლოგეტმა, როგორ, რა ხერხით ავაცილო ზღაპარს, უფრო სწორად, მის გმირს, მადლობა ღმერთს, არა მთავარს, ეს ბრალდება?

კანიბალიზმზე იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც მოჭრილი თავებით სახლის შენებაზე ვთქვით. თუ თავის გაგდებინების საფრთხით, როგორც დავინახეთ, ზღაპარი უკიდურესი რისკის ქვეშ აყენებს მთავარ გმირს და მან უნდა გაიაროს ეს განსაცდელი მიზნის მიღწევის გზაზე, კანიბალიზმის მეშვეობით ზღაპარი პერსონაჟების ექსტრემალურ გასაჭირს გვიჩვენებს, მაგრამ ეს მაინც ქმედება მიზნის მისაღწევი საშუალება არ არის, რომელსაც შეიძლება ზღაპრის *მთავარი გმირი* მიმართავდეს, არც თვითმიზანია, არც რაიმე ინტერესია, არც „ყელის ჩაკოკლოზინებაა“, არც „ნადიმია“ („კანიბალური ნადიმი“) („ძიებანი“, გვ. 194), იგი უკიდურესი მდგომარეობის გამომხატველი ნიშანია. ზღაპრის კანიბალობას ვერც უძველესი პრაქტიკის და ვერც რიტუალის გადმონაშთად მივიჩნევთ.

მთავარი გმირისა და *შემწის* ურთიერთობის თვალსაზრისით, საგულისხმოა №516 სიუჟეტი, რომელიც კიდევ უფრო მიუღებელია საღი აზრისთვის და ყოფითი თვალსაზრისით. ამ რუბრიკის ზღაპარში გაქვავებულ *შემწეს მთავარი გმირის* დაკლული ვაჟის სისხლის სხურება აცოცხლებს – ამ მსხვერპლს გაიღებს მადლიერი უფლისწული: შემწე გაცოცხლდება და სამაგიეროდ ახლა მისი ნეკა-თითიდან გამოშვებული სისხლი გააცოცხლებს ვაჟს (ხალხური სიბრძნე II, 173). როგორ გაიღო მშობელმა ასეთი მსხვერპლი, საიდან იცოდა, რომ დაკლული შვილი გაცოცხლდებოდა? არსებობს კი ზღაპრის სინამდვილის მიმართ ასეთი კითხვის დასმის საფუძველი? ამ კითხვებს ზღაპრის მსმენელი არ დასვამს, რადგან ის განარჩევს ზღაპრის ჟანრს თქმულების ან ლეგენდის ჟანრისგან. ეს ცოდნა მასში ინტუიტივურად არის მოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ მსმენელი სხვადასხვა კატეგორიებით განსჯის ზღაპარს, თქმულება-ლეგენდას და ყოფაში მომხდარ ამბავს.

სექსუალური მოძალადეობა და ნეკროფილია. უფლისწული „საოცნებო ქალს მძინარესა და გაკოჭილს აუპატიურებს. მას განსაკუთრებით იზიდავს თვალებდათხრილი გვამები: ერთ მათგანს სამწვადეს

აჭრის და მადიანად შეექცევა, მეორეს არანაკლები მადით აუპატიურებს კუბოში“ („ძიებანი“, გვ. 194). საიდან ჩანს, რომ „განსაკუთრებით იზიდავს“? სად დაინახა მადა?

ნამდვილად მკვდარია ეს ქალი, კუბოში რომ წევს? არ გვახსოვს, რა უთხრა ქალმა მის შემფარებელ ბერიკაცს, „როცა მოვკვდე, არ დამმარხოო, მშვენიერი კუბო გამიკეთე, ჩამასვენე შიგ და ამა და ამ მთაზე ამიტანე და დამდგიო“? რატომ არ უნდა დამარხოს, როგორც მკვდარი, და რატომ უნდა აიტანოს „ამა და ამ მთაზე“? იქნებ ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ მონადირე უფლისწულმა მიაგნოს მის ადგილ-სამყოფელს? რომ ქალი არც არის მკვდარი, აკი თავად თავს „მძინარედ“ მოიხსენიებს. იქნებ აქ ზღაპრისეული *იყო-და-არა-იყო-რა* მოქმედებს, ანუ ქალი მკვდარიც არის და არც არის მკვდარი, და ხსნას მოელის? მართლაც მძინარეა, ძილი კი ხალხური თქმით სიკვდილის ტყუპისცალია. ყოველ შემთხვევაში ზღაპრისთვის სიკვდილი არც კი არსებობს, ის ძლეულია ყველგან, სადაც მთავარი გმირი გაივლის. როგორ გაცოცხლდნენ დევის შეჭმული მისი ძმები? თუ ვინმეს უკვირს ეს და თუ ვინმე კითხულობს – როგორ? როგორ და რატომ – ასეთი კითხვები ზღაპრისთვის შეუფერებელია... უფლისწული „საოცნებო ქალს მძინარესა და გაკოჭილს აუპატიურებს“, წერს ჩევენი ავტორი, თუმცა ეს არსაიდან ჩანს. ზღაპარი ამბობს: „მივიდა ყმაწვილი, ეხვია და კოცნა“. სად არის აქ ძალადობა და გაუპატიურება. თუ „გაუპატიურებულია“, ასე როგორ ეფიცება ქალი „მოძალადე“ უფლისწულს: „მომიცია მაღლა ღმერთი, ძირს დედამიწა, მე შენ არ გიმტყუნოო“. უფლისწული ეხვევა და კოცნის იმ ქალს, რომელიც მისთვის არის წილხვედრილი, სწორედ მისი მოპოვებისთვის იბრძვის, ხოლო მისთვის უხვედრი ქალის მიმართ სხვაგვარად იქცევა: „იმ ღამეს ხემწიფის ქალი და ეს ყმაწვილი ერთად დააწვინეს ოთახში – სიძე ჰგონიათ. დაწვა ყმაწვილი რძალთან და შუაში ხმალი ჩაიდო“ (უმიკაშვილი III, გვ. 66).

I. რაც შეეხება ზღაპრის გმირის უთვისებობას. ამ თემაზე ზაზა კვერცხიშვილი „კადმოსის“ პირველ ნომერში ლაპარაკობს. სავსებით ვეთანხმები ავტორს, ზღაპრის გმირის ინდივიდუალურ ხასიათზე ან თვისებაზე ლაპარაკი ზღაპრის ჟანრისთვის შეუსაბამობაა. თუმცა ვერ დავეთანხმები ამგვარ დაშვებას: „თუ ზღაპრის გმირს აქვს ესა თუ ის პიროვნული თვისება, მან იგი თხრობის ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს და უმიზეზოდ არ შეცვალოს. თუ ზღაპრის გმირი კომპოზიციური სტრუქტურის შეცვლისთანავე დიამეტრიულად იცვლის ბუნებას, მაშასადამე, მას არანაირი პიროვნული თვისება არ ჰქონია...“ („კადმოსი“ 2009, გვ. 284). ეს არ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ ზღაპრის გმირი მოკლებულია რაიმე თვისებას. მოტივაციის საკით-

ხიც თავისებურია ზღაპარში. იქ ბევრი რამ მოტივაციის გარეშე ხდება. ყოველთვის არ არის ზღაპრის გმირის საქციელი მოტივირებული. თანამედროვე რომანშიც წარმოუდგენელი არ არის უმოტივაციობა: შეიძლება გმირი რადიკალურად შეიცვალოს, თუ ავტორს ეს სურს[6]. მეორე მხრივ, რასაც ავტორი „კომპოზიციური სტრუქტურის შეცვლას“ უწოდებს, ეს სხვა არაფერია, თუ რა კონტამინაცია (სხვადასხვა მთელის ნაწილების ურთიერთშეზრდა), ზღაპართმცოდნეობაში დამკვიდრებული ცნება-ტერმინი, რომელიც ერთ ზღაპარში სხვა ზღაპრის შეჭრას გულისხმობს. ამდენად, კონტამინირებული ზღაპარი ზღაპრის გმირის უთვისებობის ნამდვილად გასათვალისწინებელი დებულების მტკიცებულებად არ გამოდგება. რასაც ავტორი „ანომალიურ გარდაქმნად“ სახელდებს, სწორედ ამ კონტამინაციით არის განპირობებული. ამიტომ დაკარგა – *ქვესკნელიდან ამოსვლამ* თავისი „მეორე პოლუსი“ – *ქვესკნელში ჩასვლა*[7].

ავტორს ალღომ უკანარხა, როცა დაასკვნა: „შეიცვალა თვით ზღაპარი“ და, აქედან გამომდინარე „შეიცვალა მთავარი გმირი“. და კვლავ „მზეთუნახავის ზღაპარი“ გადაიქცა „უფლისწულის ზღაპრად“ (გვ. 288). ამ ფაქტის კონსტატაციის შემდეგ ყოველი კითხვა ზედმეტი გახდა და, მე ვფიქრობ, დანარჩენი მსჯელობა მხოლოდ ღია კარის მტვრევაა. მაგალითისთვის, სრულიად არალეგიტიმურია ამგვარი საკითხის დასმა მას შემდეგ, რაც ზღაპარი შეიცვალა, ანუ მოხდა კონტამინაცია: „თუკი ზღაპარში, როგორც სიტყვიერების ჟანრში, როგორც ნარაციის (მონათხრობის) ტიპში პერსონაჟებს ჩანასახოვან დონეზე მაინც აქვს ხასიათები, პიროვნული თვისებები, არ უნდა მოხდეს ამ თვისებების შეცვლა რაიმე მოტივირების გარეშე“ (გვ. 289). ერთგული დედა, წერს ავტორი, გადაიქცა „ავხორც კახპად“ და შვილის მოძულედ. რატომ მოხდა ასე? იმიტომ მოხდა, რომ თხრობაში სხვა ზღაპრის პერსონაჟი შეიჭრა. უმცროს დას, ოქროქოჩრიანი ვაჟის დედას, ცილდაწამებულს და გაგდებულს შეენეცვლა სხვა არსება (სხვა „დედა“), რომლის საქციელი ყოველნაირი შეფასებით ამაზრზენია. მაგრამ ზღაპრებში ეს ხდება და, მოდით, ნუ დავიწყებთ მორალზე ლაპარაკს. ეს ზღაპა-

6 მაგალითად, ანდრე ჟიდის რომანის „ვატიკანის ჯურღმულების“ გმირი ლაფკადიო სრულიად მოულოდნელად ისეთ საქციელს სჩადის, რომელიც ყირამალა აყენებს მასზე მკითხველის წარმოდგენას.

7 თუმცა ზღაპრისთვის არც არის სავალდებულო „ორპოლუსიანობა“. ზესკნელ-ქვესკნელი მითოლოგემაა, რომლმაც ზღაპარში, როგორც საშენმა მასალამ, ადვილად (უმოტივაციოდ) შეიძლება განიცადოს მოდიფიკაცია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „დაკოჭლება“. ზღაპრის ლოგიკას ამით არაფერი უშავდება. თუმცა სიმეტრია დარღვეულია და ეს რღვევა მხოლოდ ზღაპრის ესთეტიკას ეხება და არა იდეოლოგიას.

რი კონტამინაციის გარეშე რომ გაგრძელებულიყო, „ოქროსქოჩრიან ბიჭი“ პატივაყრილ დედას თავის პატივში აღადგენდა (ხელმწიფესთან დააბრუნებდა), და მოხდებოდა ნაცვლაგება: დედის ნაცვლად ბოროტი დეიდები დაისჯებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა: კონტამინაციამ გაამრუდა თავდაპირველი ნარაცია და, ამდენად, მთავარი გმირის ნება. ზ. კვერცხვიშვილი კი წერს: „არ უნდა მოხდეს ამ თვისებების შეცვლა“. ნამდვილად, არ მოხდებოდა, სხვა ზღაპარი რომ არ დახმარებოდა. სულ ეს არის და ეს.

დამეთანხმება მკითხველი, თუ რაოდენ უსამართლოა ეს განაჩენი, რომელიც ზ. კვერცხიშვილს გამოაქვს: „აქამდე „უზადო ზნეობის“ განმასახიერებელი ობოლი მზეთუნახავი ახლა დევზე უფრო „უზნეოც“ კი არის: დევს კეთილგონიერების გამო მაინც არ სურს სცადოს ვაჟის მოკვლა. ქალი კი არ ეშვება და ყველაფერს აკეთებს თავისი შვილის დასაღუპაად“ (გვ. 290). ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ობოლი მზეთუნახავი სხვაა და ეს დევის საყვარელი ქალი სხვაა. „ობოლი მზეთუნახავის“ სახე საკმაო მკაფიობით არის წარმოდგენილი ზღაპრულ ნარაციებში (მას „აბესალომ და ეთერის“ ეპოსშიც ვხვდებით ეთერის როლში), მას მართლაც *უზადო ზნეობა* გამოარჩევს ავი დედინაცვლისა და შურიანი დებისაგან.

აქედან გამომდინარე, კონტამინირებული ზღაპარზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად გაჩენილ ამგვარ კითხვაზე: „რა მოხდა? რით აიხსნება მანამდე „კეთილშობილი“ პერსონაჟის თვისებების ასეთი სწრაფი და რადიკალური ცვლა?“ (გვ. 290), ჩემი აზრით, ერთადერთი პასუხი ასეთი უნდა იყოს: იმით აიხსნება, რომ ეს ორი არსება სხვადასხვა პერსონაჟებია და მხოლოდ კონტამინაციამ აქცია ისინი ერთ პერსონაჟად. ასე რომ, აქ ხასიათისა თუ ზნეობის ცვლილებაზე არ უნდა გვიხდებოდეს ლაპარაკი. ამიტომაც, დავასკვნით ჩვენ, რომ ეს „სწრაფი და რადიკალური ცვლილება“ არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ზღაპრის გმირი სრულიად მოკლებულია ზნეობას და რაიმე თვისებას. ოღონდ ნუ მოვითხოვთ, რომ ეს თვისება ისეთივე კონკრეტული და გამოკვეთილი იყოს, როგორც კლასიკურ რომანშია წარმოდგენილი.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ზოგადად ზღაპრის ჟანრის შესახებ. ზღაპრის ჟანრის თავისებურებას თქმულების, ლეგენდის ან, უბრალოდ, მონაყოლისგან განსხვავებით წარმოაჩენს მისი საყოველთაოდ გავრცელებული (ზოგიერთ ზღაპარს შეიძლება აკლდეს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის) დასაწყისი „იყო და არა იყო რა“, რაც გამოხატავს მთხრობელ-მსმენელის დამოკიდებულებას მონათხრობისადმი. ზღაპარში გადმოცემული ყოფითი სინამდვილის ფონზე თუნდაც უფანტასტიურესი და ყოფითი ლოგიკით შეუსაბამო ამბები აღქმულია,

როგორც ზღაპრის *ამდაგვარი*, ყოფითი სინამდვილისადმი დაპირისპირებული სინამდვილე, და ეს არავითარ უხერხულობას არ იწვევს მსმენელში. მსმენელი შეგუებულია ამ „იყო-და-არა-იყო-რას“ პათოსს. თხრობის ყოველ მონაკვეთზე რომ მას კითხვა დაესვა, მაგალითისთვის, ნეკები რომ მოიჭრეს დებმა, ან ხელები ბარად და ნიჩბად რომ ექცათ, ბოლომდე უნეკოები და ამგვარი ხელებით დარჩნენო, ზღაპართან კი არ გვექნებოდა საქმე, არამედ ბარონ მიუნჰაუზენის მსგავს სიუჟეტებთან ან, უბრალოდ, ქოსა-ტყუილას დაუჯერებელ ტყუილებთან. თუმცა დაჯერება-დაუჯერებლობის მომენტი საერთოდ არ არსებობს ზღაპრის მთხრობელ-მსმენელის შეგნებაში. შეთანხმება ასეთია: მან პარადოქსულად უნდა დაიჯეროს დაუჯერებელი. მსმენელი არ ეტყვის მთხრობელს, ამას რა დაუჯერებელ ამბებს მიყვები, როგორ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყოო? ზ. კვერცხიშვილისთვის ეს მომენტი უცხო არ არის, მიუხედავად ამისა, მაინც ამგვარ შესაძლებლობას, თუნდაც დაშვების სახით, გვთავაზობს: „ივანე ორჯონიკიძეს (ზღაპრების მთხრობელს სოფ. ტეზერიდან, ზ. კიკნ.), როგორც გარკვეული დროისა და სოციალური ფენის წარმომადგენელს, თავისი ნაცნობების ცხოვრებიდან რომ მოეთხრო კეთილი ქალის გაალქაჯების ამბავი (...), უეჭველია, შეაცბუნებდა ადამიანური თვისებების ასეთი რადიკალური ცვლილება და ამის რაიმეგვარ მოტივირებას შეეცდებოდა. თანაც საუბარი საყვარლების ქცევის მორალური შეფასებით, მათი გმობით და ლანძღვით იქნებოდა სავსე. ზღაპრის მთხრობელ ივ. ორჯონიკიძეს კი მსგავსი არაფერი აღელვებს, აქ არც საქციელის მოტივირებაა, არც მისი მორალური თვალსაზრისით შეფასება...“ (გვ. 292). სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ზღაპრის სინამდვილე და ლოგიკა სხვაა, ყოფითი სინამდვილე და ლოგიკა – სხვა. ყოფით ურთიერთობებში ლოგიკას და მოტივაციებს ეძებენ, ზღაპარში ეს ფიქრადაც არავის მოუვა.

და, ბოლოს, ორიოდე სიტყვა ზღაპრის პერსონაჟების ხასიათის შესახებ. ვლ. პროპმა ასი რუსული ზღაპრის ანალიზის შედეგად (ჩათვალა, რომ რიცხვის გაზრდის შემთხვევაში იმავე დასკვნებს გამოიტანდა) გამოყო შვიდი პერსონაჟი (მოქმედი პირი), რომელთაც ასევე შეზღუდული რაოდენობის სვლებით წინ მიჰყავთ ზღაპრის თხრობა. პროპის თეორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექვსი პერსონაჟი დამოუკიდებელი პერსონაჟები არ არიან, ისინი ზღაპრის ასპარეზზე *მთავარი გმირის* გამოჩენამ წარმოშვა. ისინი მხოლოდ და მხოლოდ *მთავარი გმირისთვის* არსებობენ. ზღაპარი, რომელშიც *მთავარი გმირი* რაღაც დავალების შესასრულებლად (ან ამოცანის გადასაწყვეტად) გამოდის შინიდან, საჭიროებს: 1) *გამსტუმრებელს*, 2)

მავნეს, 3) *შემწეს*, 4) *დამსაჩუქრებელს* (*მწყალობელს*), 5) *ცრუგმირს* (*ანტიგმირს*), 6) *მეფის ასულს* (*მზეთუნახავს*). მეშვიდე ანუ პირველი თავად *მთავარი გმირია*, უფლისწული იქნება თუ გლეხის შვილი. თითოეულ ამ ექვსთაგან საკუთრივი და ერთმანეთისგან განსხვავებული დამოკიდებულება და ურთიერთობა აქვს *მთავარ გმირთან*. არ შეიძლება *გამსტუმრებელი მავნედ* ან *შემწედ* შეიცვალოს; ვერც *ცრუ გმირი* ვერ შეიცვლება *მთავარ გმირად* (ან პირუკუ)[8]. შესაძლებელია მხოლოდ, რომ *შემწისა* და *მწყალობელის* ფუნქცია ერთმა პერსონაჟმა შეითავსოს, რაც ხშირად ხდება ზღაპარში, სადაც პერსონაჟების რაოდენობა მაქსიმუმი არ არის. ამრიგად, პერსონაჟის სახეს განსაზღვრავს არა მისი ინდივიდუალური თვისებები, არამედ ფუნქცია, რომლითაც იგი ზღაპარმა დატვირთა. ზღაპრის პრინციპია: არა – *ვინ* არის გმირი, არამედ – *რას* აკეთებს იგი. ამიტომაც მათი ერთმანეთში აღრევა, ერთმანეთის მონაცვლეობა პრინციპულად არღვევს ურთიერთდამოკიდებულებას ზღაპრის პერსონაჟებს შორის. ამ აზრით, ზღაპარი გამონაკლისი არ არის: არც ძველი ლიტერატურა (ეპოსი) არ იძლევა ინდივიდუალობებს, არ ხატავს პიროვნული ნიშნებით ერთმანეთისგან გამორჩეულ ტიპებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციებს. მარტინ ბუბერი ამ წესს ბიბლიაზეც ავრცელებს: მისი განჭვრეტით, ბიბლიური პერსონაჟები პიროვნულად კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არამედ სიტუაციებით, რომლებშიც თითოეული მათგანი იმყოფება. აბრაამი, ისაკი და იაკობი უნდა განვიხილოთ სიტუაციებთან ერთად. შესაძლოა, ეს საკამათო იყოს, თუმცა ადამიანს ვერ მოვწყვეტთ იმ სიტუაციას, რომელშიც ის არსებობს. ეს ერთგვარად მეტაფიზიკური საკითხიც არის: რატომ ხდება, რომ ერთი ამ სიტუაციაში ხვდება, მეორე – სხვა სიტუაციაში. ეს აუხსნელია: ამაზე ფიქრს ბედისწერის გაურკვეველ და ყოვლისმომცველ ცნებამდე მივყავართ. შეგვიძლია ვთქვათ ასე: აბრაამმა, როგორც ასეთმა, შექმნა თავისი სიტუაცია; შეგვიძლია ასეც ვიფიქროთ: სიტუაციამ შექმნა აბრაამი... თუ ამ უკანასკნელ პოზიციაზე დავდგებით, ზღაპრის გმირზეც ვიფიქრებთ, რომ მის ინდივიდუალობას ის ფუნქცია ქმნის, რომელსაც იგი ასრულებს, ანუ ზღაპრის გმირს მის ფუნქციასთან ერთად განვიხილავთ. ეს იქნება მისი ინდივიდუალობა, რომელიც სხვა პერსონაჟის ინდივიდუალობაში არ აგვერევა. სტატიაში განხილულ თემას რომ დავუბრუნდეთ, უნდა დავასკვნათ, რომ ზღაპრის გმირის მაინც აქვს თავისი ინდივიდუალობა, თვისება, რასაც მისი ფუნქცია ქმნის, ანუ

8 ცრუგმირს შეუძლია მხოლოდ (და ამას სჩადის იგი) მიისაკუთროს მთავარი გმირის ფუნქცია უზურპაციის გზით და გამოცხადდეს გამსტუმრებელთან მთავარი გმირის სახით.

მისი ინდივიდუალობა მასზე დაკისრებული ამოცანით და არა მისი ბუნებით არის განსაზღვრული.

P.S. ყველა ზღაპარს ერთი „უხასიათო“ გმირი ჰყავს (ამაში ვეთანხმები ჩვენს ავტორრს) და, რაკი ის უხასიათოა, ყველგან ერთი და იგივეა, მას არქეტიპი (თუ პროტოტიპი) არა ყოფაში, არამედ სადღაც სხვაგან ჰყავს. ის კაცობრიობის წარმომადგენელია.

ასე კი არ უნდა დავსვათ საკითხი – რატომ არ იქცევა ის ყოფითი ადამიანივით, არამედ ვიკითხოთ, რას გვეუბნება ის თავისი ამ უცნაური, ხშირად აბსურდული, ქცევით, რითაც იმარჯვებს, რადგან ზღაპრის გმირის ინდივიდუალობა მის ქმედებებშია: ის არის ის, რაც არის. ის ყველგან *ერთია*, რადგან თავად ჯადოსნური ზღაპარია *ერთი*, როგორც ადამიანია *ერთი* თავის გვარში, თავის ზოგადობაში.